საქართველოს მთავრობის

დადგენილება №130

2020 წლის 27 თებერვალი

ქ. თბილისი

„მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №671 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1

„ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, „მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის №671 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge, 31/12/2015, 010110020.10.003.019058) შეტანილ იქნეს ცვლილება და დადგენილებით დამტკიცებული მაღალმთიან დასახლებათა ნუსხის:

1. 4.14 გრაფის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 4.15 და 4.16 გრაფები:

„

4.15		სპეთი	სოფელი	
4.16		ჭალოვანი	სოფელი	

“.

2. 10.6 გრაფის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 10.7 გრაფა:

„

10.7		მელაანი	სოფელი	

“.

3. 13.243 გრაფის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 13.244 გრაფა:

„

13.244		ახალციხე	სოფელი	

“.

4. 28.31 გრაფის შემდგომ დაემატოს შემდეგი შინაარსის 28.32 და 28.33 გრაფები:

„

28.32		დვანი	სოფელი	
28.33		კნოლევი	სოფელი	

“.

მუხლი 2

1. პირები, რომლებსაც ამ დადგენილებაში მითითებულ სოფლებში 2020 წლის 31 მარტის შემდეგ მიენიჭებათ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრული სოციალური შეღავათებით ისარგებლებენ სტატუსის მინიჭების დღიდან.

2. პირები, რომლებსაც ამ დადგენილებაში მითითებულ სოფლებში 2020 წლის 1 აპრილამდე მიენიჭებათ მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსი, „მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-4 მუხლით განსაზღვრული სოციალური შეღავათებით ისარგებლებენ 2020 წლის 1 აპრილიდან.

მუხლი 3

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

პრემიერ - მინისტრი **გიორგი გახარია**